ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ბ-12/1431171045-16

"14" 11 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. №47-ში (საკ. კოდი №01.15.05.088.004) მდებარე შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/1431026-16 07.11.2014წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა შპს „NGS Group"-ის წარმომადგენელმა ნესტან ბუცხრიკიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილი) ქ. №47-ში (საკ. კოდი №01.15.05.088.004) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/1431026-16 07.11.2014წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ №ბ-12/1431026-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილიდან გარკვეული დარღვევების ამოღება, რადგან განმცხადებლის განმარტებით ბრძანებაში მითითებული დასასრულებელი სამუშაოები დასრულებულია (საქმეშია ცნობა 14.11.2014წ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად "ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს", ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №ბ-12/1431026-16 ბრძანებაში ასახული დარღვევების ნაწილი გამოსწორებულია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების შეტანა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/1431026-16 07.11.2014წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილში დარღვევები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი კარ-ფანჯრის ნახატი. შეცვლილია სამერცხლეების ფორმა. შეცვლილია კაპიტალურ მოაჯირებში დეკორატიული ელემენტების მოწყობა. კედლებზე დეკორატიული ლესვის ნაცვლად მოწყობილი ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეფრქვევა „ბრიზგი". ზოგიერთ ადგილას შეცვლილია მოპირკეთება და დეკორატიული ელემენტები.

ფასადი ა-კ ღერძებში: ე-ე ღერძთან შეცვლილია პარაპეტის ფორმა. +25.90 ნიშნულზე გ-ე მონაკვეთში დამატებულია თუნუქის მოპირკეთება.

ფასადი 6-1 ღერძებში: +0.00 ნიშნულზე 6-6 და 1-1 ღერძებზე არ არის მოწყობილი ორი მარკიზი. 2-1 მონაკვეთში -0.60 ნიშნულზე კარის მაღლა დამატებულია მექანიზმი. დამატებულია სარეკლამოები.

ფასადი კ-ა ღერძებში: +22.20 ნიშნულზე ე-ე ღერძთან კედლის ფრაგმენტი შესაღებია და შეცვლილია პარაპეტის ფორმა. +25.90 ნიშნულზე ე-გ მონაკვეთში დამატებულია თუნუქის მოპირკეთება.

შენობის შიგნით ზოგიერთ მონაკვეთში დამატებულია კოლონები და რიგელები. გ-გ ღერძზე 1-2 მონაკვეთში გაზრდილია კოლონის გაბარიტი. ზოგიერთ მონაკვეთში კოლონებს შორის მანძილი და კედლების სისქე არ ემთხვევა საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბეების საფეხურების რაოდენობა. გ-გ ღერძზე ზოგიერთი კოლონა გადაადგილებულია. +0.00 ნიშნულზე თ-თ და ი-ი ღერძებზე კოლონები არ არის გადმოსული კედლის სიბრტყიდან.

+22.20 ნიშნულზე ა-გ მონაკვეთში გადახურვის ქვეშ მოწყობილი ლითონის კონსტრუქციები არ არის ნაჩვენები პროექტში.

სახურავზე ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის ნახატი. დამატებულია წყლის მილები. შეცვლილია ზოგიერთი სავენტილაციო შახტის სიმაღლე, ასევე შეცვლილია ყველა შახტის გადახურვა. დამატებულია გარე განათების ბოძები. +25.90 ნიშნულზე 1-3 მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟის გაბარიტი. +29.10 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში შემცირებულია ფილის გადმოსვლა. ლიფტის შახტებზე არ არის მოწყობილი მონოლითური ფილები.

შენობის გარეთ გენ.გეგმაზე ნაჩვენები გამწვანებების ნაცვლად მოწყობილია დეკორატიული ქვა-ღორღი, შეცვლილია მათი ფორმა. ზოგიერთ ადგილას გაუქმებულია გამწვანება“.

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/1431026-16 07.11.2014წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/143171045-16 13.11.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუკირიშვილი**